

საქართველოს კონტროლის პალატა

2012 წლის პრიორიტეტული სფეროები

საქართველოს კონტროლის პალატამ 2011 წელს შეიმუშავა განსაკუთრებული საჯარო ინტერესის ნუსხა, რომელშიც შესულია ყველა ის ღონისძიება და პროგრამა, რომლებიც სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ნუსხაში შესული პროგრამები და ღონისძიებები შეირჩევა კონტროლის პალატის მიერ განსაზღვრული რისკის კრიტერიუმების მიხედვით.

ნუსხაში შესულია 10 ღონისძიება და პროგრამა. ნუსხა განახლდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, რისკის ფაქტორების ცვლილების მიხედვით. რამდენადაც ნუსხა შემუშავდა 2011 წლისათვის, 2012 წელი ნუსხის მოქმედების მეორე წელია, ამასთან, საჯარო ნუსხის რიგი მიმართულებები კვლავ რჩება განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის სფეროდ, შესაბამისად, არ მოხდა მისი მთლიანი განახლება.

განსაკუთრებული საჯარო ინტერესის ნუსხის გათვალისწინებით, საქართველოს კონტროლის პალატამ განსაზღვრა 2012 წლის 10 პრიორიტეტი:

1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა
2. სამედიცინო მომსახურების სისტემა და პროგრამები
3. სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების სისტემის მართვა
4. პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემისა და მეცნიერების მხარდაჭერა
5. სოფლის მეურნეობის სფეროს მართვა
6. ინფრასტრუქტურული ღონისძიებები და პროგრამები
7. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა
8. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის მართვა
9. საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლების მართვა
10. საჯარო აუდიტის ინსტიტუტის განვითარება

1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა

სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი, ყოველწლიურად თითქმის მილიარდ ლარამდე ხმარდება არაფინანსური აქტივების ზრდას. სახელმწიფო ქონების უდიდესი ნაწილი სახელმწიფო დაწესებულებების სარგებლობაშია, რომელსაც ისინი იყენებენ კანონმდებლობით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად.

საქართველოს მოქმედი საბიუჯეტო ანგარიშვალდებულების სისტემა არ ითვალისწინებს მთავრობის მიერ სახელმწიფო ქონების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშის წარდგენას საქართველოს პარლამენტში, რაც საშუალებას მისცემდა საკანონმდებლო ორგანოს, შეესწავლა და განეხილა სახელმწიფო ქონების მდგომარეობა, მისი ჯამური მოცულობა, თუ რა ღირებულების ქონებას ფლობს სახელმწიფო, კლების ან/და ზრდის დინამიკა და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო ქონების აღრიცხვა და მართვა, თუ რამდენად სრულად, სწორად, სათანადო ღირებულებით აღირიცხება სახელმწიფო ქონება, ხორციელდება თუ არა მათი გადაფასება ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში და ა.შ. აუდიტორული პრაქტიკიდან ცალკეული შემთხვევები მიუთითებს ამ მიმართულებით მნიშვნელოვან სისტემურ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე.

2. სამედიცინო მომსახურების სისტემა და პროგრამები

საქართველოს კონტროლის პალატა წლიდან წლამდე ზრდის შემოწმებული ჯანრთელობის დაცვის პროგრამების მოცულობას. აუდიტორული პროგრამების ზრდასთან ერთად პროპორციულად იზრდება ის რისკები და ნაკლოვანებები, რომლებიც სისტემურად დამახასიათებელი აღმოჩნდა სახელმწიფო ჯანდაცვის სექტორისათვის.

ჯანრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებიდან, რომელიც ჯამში წლიურად მოიცავს 320 მილიონ ლარს, ბოლო სამი წლის განმავლობაში კონტროლის პალატის მიერ შემოწმებული პროგრამების წილმა ბიუჯეტში 204 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ჯანდაცვის პროგრამების ბიუჯეტის 65%-ს უდრის. საქართველოს კონტროლის პალატა მომდევნო 3 წლის განმავლობაში სრულად დაფარავს ჯანდაცვის ყველა სახელმწიფო პროგრამას, რითაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამინისტროს სფეროსათვის დამახასიათებელი რისკების პრევენციასა და აღმოფხვრაში.

3. სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების სისტემის მართვა

სახელმწიფო ამ მიმართულებით ბიუჯეტის თითქმის მესამედს ხარჯავს, თუმცა სფერო კვლავ საჭიროებს სისტემურ სრულყოფას. საქართველოს კონტროლის პალატას ყოველდღიურად მიმართავს ათობით მოქალაქე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, რომლებიც ითხოვენ სოციალური აგენტის გადაწყვეტილების

გადასინჯვას, სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსის მინიჭებასა და შესაბამისი გასაცემლის მიკუთვნებას.

სხვადასხვა აუდიტის ფარგლებში სოციალურად დაუცველთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შემოწმებამ გამოავლინა მთელი რიგი პრობლემები. ერთი მხრივ, არასწორი მართვა, ბენეფიციართა გამართული ბაზების ფორმირებისა და მონიტორინგის სისტემური მოუწესრიგებლობა, და მეორე მხრივ - უმწეოთა კატეგორიის ობიექტური შეფასების კრიტერიუმებისა და სისტემის არსებითი ნაკლოვანებები და ხშირად ცვალებადი რეგულირებები, აფერხებს სამიზნე ჯგუფებამდე საჯარო რესურსების დროულად მიწოდებას.

4. პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემისა და მეცნიერების მხარდაჭერა

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება და გლობალური ეკონომიკის მდგომარეობა ცხადყოფს, რომ დღეის და სამომავლო გამოწვევაა ახალი მიმართულებების, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებული ბიზნესი; ბიზნესი, რომელსაც შეეძლება ნაკლები ხარჯებით მეტი ეფექტის მიღება. ამ მიმართულებით კი მეცნიერებას, ინოვაციებს, ახალ ტექნოლოგიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი იძლევა ზრდის საშუალებას, სახელმწიფომ კი ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციას და ინტელექტუალური შრომის შედეგების კომერციალიზაციას, მეცნიერება მიმზიდველი უნდა გახდეს ახალი თაობისათვის და ინვესტიციებისათვის.

2009-2011 წლებში საქართველოს კონტროლის პალატამ საგანმანათლებლო სისტემის აუდიტის ფარგლებში შეისწავლა ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მართვის სისტემები. აღნიშნული აუდიტის პროექტების შედეგად გამოვლენილი სისტემური ნაკლოვანებები მნიშვნელოვნად ზრდის რისკებსა და საზოგადოებრივ ინტერესს სფეროს დარჩენილი ორი ნაწილის მიმართ, როგორებიცაა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და მეცნიერების მხარდაჭერა.

საქართველოს სამეცნიერო სისტემაში მობილიზებული სამეცნიერო გრანტები და სამეცნიერო კვლევების განვითარების დაფინანსება წლიდან წლამდე მატულობს, რაც განაპირობებს ინტერესის ზრდას სამეცნიერო სისტემის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის, სამეცნიერო მიღწევების რაციონალიზაციის საკითხების მიმართ და ა.შ.

5. სოფლის მეურნეობის სფეროს მართვა

ჩატარებულმა აუდიტებმა სისტემის დაწესებულებებში გამოავლინა არასწორი მართვის შემთხვევები და სხვა კანონდარღვევები, რომლებსაც სისტემური მოწესრიგება სჭირდება. სისტემური მოწესრიგებისთვის საჭიროა პრობლემებისა და ნაკლოვანებების მონიტორინგი, იდენტიფიკაცია და სწორი გადაწყვეტილებების მიღება. ამასთან, სოფლის მეურნეობის განვითარებას აქვს როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური მნიშვნელობა - სწორი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების

შემთხვევაში არსებობს აგრობიზნესისა თუ აგრარულ დარგთან კავშირში მყოფი ბიზნესის სხვა მიმართულებების განვითარების საშუალება.

6. ინფრასტრუქტურული ღონისძიებები და პროგრამები

ინფრასტრუქტურის განვითარებაზე განსაკუთრებით დიდი ოდენობის საბიუჯეტო სახსრები იხარჯება. ასიგნებების სიჭარბის კვალობაზე სისტემური მდგრადობისა და ეფექტიანობის კლების ალბათობა მატულობს.

2012 წლის აუდიტორული საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული მსხვილი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები, საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობა და სხვა ღონისძიებები.

7. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა

სახელმწიფოს გაცხადებული გამოწვევა უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში არის საჯარო ფინანსებისა და საბიუჯეტო სფეროს მართვის რეფორმა.

2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტმა ცხადყო ის პრობლემები, რომელიც თან ახლავს საქართველოს მთავრობის მიერ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვას, რაც დაკავშირებულია 2011 წელს განხორციელებული არასაკმარის მოსამზადებელ ღონისძიებებთან.

2012 წელი საქართველოს კონტროლის პალატისათვის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც ინერგება აუდიტის თანამედროვე ფორმა - ეფექტიანობის აუდიტი. აუდიტის პირველი პროექტები შეეხება სწორედ საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახელმწიფო ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო სისტემის შეფასებას.

აღნიშნულის გარდა, ქვეყანაში ეტაპობრივად ინერგება საჯარო სექტორის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, საჯარო სამსახურში ყალიბდება და მკვიდრდება შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის პრინციპები. 2011 წელს არსებითად შეიცვალა შესაბამისი კანონმდებლობა („სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი).

საქართველოს კონტროლის პალატისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საჯარო ფინანსების მართვაში კონტროლის სისტემის იმპლემენტაციის მონიტორინგი და საჯარო სექტორში შიდა კონტროლების დანერგვის ხელშეწყობა.

8. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის მართვა

2012 წლის კონტროლის პალატის აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტია პენიტენციალური სისტემის ფინანსური მართვა, საპატიმრო დაწესებულებაში მყოფთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის პროგრამები და სასჯელაღსრულების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები.

მიმდინარე რეფორმის პირველი შედეგები უკვე არსებობს და უნდა მოხდეს მათი ანალიზი, გაკეთდეს დასკვნები და მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

9. საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლების მართვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო რესურსების გამოყენებით მიღებული საკუთარი შემოსავლების სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად და ზუსტად აღრიცხვა არსებითია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში სწორი ინფორმაციის წარდგენისა და საბიუჯეტო პროცესში საქართველოს პარლამენტის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია სსიპ-ების მიერ მიღებული შემოსავლების ზეგავლენა საბიუჯეტო რესურსების რაციონალურად გადანაწილებასა და დაზოგვაზე.

ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლების გამჭვირვალე და ეფექტიანი მართვა 2012 წლის აუდიტორულ პრიორიტეტთა შორის ერთ-ერთია.

10. საჯარო აუდიტის ინსტიტუტის განვითარება

2011 წელს შეიქმნა საჯარო აუდიტის ინსტიტუტი, რომლის მისიას საჯარო ფინანსების მართვის ხელშეწყობა საჯარო სექტორის მაღალპროფესიული კადრების მომზადებითა და კვალიფიციური საკონსულტაციო-აუდიტორული მომსახურების გაწევით.

აღნიშნული ინსტიტუტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების განვითარების ხელშეწყობა სპეციალიზებული საგანმანათლებლო სისტემის შექმნით. ამასთან, ინსტიტუტი უფლებამოსილია, დაინტერესებულ სუბიექტებს საჯარო სექტორში გაუწიოს კვალიფიციური კვლევითი/ანალიტიკური, საექსპერტო, საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურება.

ინსტიტუტი სრულიად ახალი ორგანიზაციული სუბიექტია, რომელსაც, მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად, ესაჭიროება მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება და საქმიანობის ცალკეულ მიმართულებათა განვითარება.